ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲬᲚᲘᲜᲓᲔᲣᲚᲘ
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

III 2011

ᲘᲠᲛᲐ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲘᲐ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ ᲒᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

წიგნი არის ინფორმაციის გავრცელებისა და გადაცემის მნიშვნელოვანი საშუალება. ცოდნის გადაცემის პირველი მეთოდი, რა თქმა უნდა ზეპირი გადაცემა იყო, თუმცა ძველი ცივილიზებული სახელმწიფოები ცდილობდნენ ინფორმაციის სისტემური მეთოდებით გადაცემას, რის შედეგადაც ნელ-ნელა დამკვიდრდა ინფორმაციის გადაცემის წერილობითი საშუალება, რომელიც გაცილებით მოსახერხებელი და უფრო საიმედო იყო, რადგანაც ამ შემთხვევაში ინფორმაცია მნიშვნელოვნადაა დაცული დამახინჯებისაგან. თანამედროვე წიგნები, რა თქმა უნდა, მრავალინფორმაციულია, მაგრამ თანამედროვეობა მეტს მოითხოვს!

XX საუკუნეში ელექტრონიკის დარგში გაკეთებულმა აღმოჩენებმა ტექნიკურ რევოლუციამდე მიგვიყვანა, შეგვიცვალა ცხოვრების წესი. ქაღალდზე — წიგნებში, ჟურნალებსა თუ გაზეთებში შენახული ინფორმაციისათვის საჭირო იყო დიდი სისტემები და ბიბლიოთეკები.

ელექტრონიკის დარგში წარმოებულმა აღმოჩენებმა საბოლოოდ კომპიუტერის გამოგონებას მიაღწია. თანამედროვე კომპიუტერს ანგარიშის გარდა, ინფორმაციის სწრაფი მოძებნა და დამახსოვრება შეუძლია. კომპიუტერი ერთ წამში გადაათვალიერებს ელექტრონული ხერხით დამახსოვრებულ მთელ ბიბლიოთეკას და ნებისმიერი წიგნის საჭირო გვერდს გიჩვენებთ.

დღეს, როცა ჩვენი საზოგადოება ინფორმაციაზეა ორიენტირებული, ბიბლიოთეკას, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის საცავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის არა მარტო საცავი უნდა იყოს, არამედ აკადემიურ გარემოში გახდეს ცოდნის გაფართოების სტიმულატორი. ბუნებრივია, ჩნდება მიზანი, რომ შესაძლებელი იყოს თანამედროვე სერვისების შეთავაზება, მრავალმხრივი და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების შექმნა, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგია.

ალბათ, ჯერ ისევ ცოცხალია უფერული, უსიამოვნო ან სევდისა და მოწყენილობის გამომწვევი განცდები მაშინ, როცა მუზეუმს ან ბიბლიოთეკას ვახსენებთ.

შეიცვალა თუ არა ვითარება საქართველოს ამ ტიპის დაწესებულებებში ძნელი სათქმელია. გააუმჯობესო მხოლოდ ინფრასტრუქტურული სისტემა, განაახლო ინტერიერი, შეცვალო მომსახურე პერსონალი, არაა მსგავსი განცდების მოსპობის საშუალება, საქმეს მხოლოდ ეს არ შველის. საჭიროა თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ მომენტს სიახლის ელემენტები ახლდეს თან. სწორედ სიახლეების დანერგვა ახალი ტექნოლოგიებით განსაზღვრავს თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებას.

სიახლეების დანერგვის მცდელობები მთელ რიგ ბიბლიოთეკებში ნამდვილად არის. მათ რიგებში შეიძლება თამამად დავასახელოთ ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ბიბლიოთეკებთან ერთად აქტიურად ჩაება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მათი გამოყენებისა და ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის პროცესში.

ბიბლიოთეკაში 2000 წლიდან შემოტანილია კომპიუტერები. ამ დროს გაიხსნა ავტომატიზაციის განყოფილება, რომლის მიზანიც იყო გადამწყვეტი როლი ეთამაშა ბიბლიოთეკის მოდერნიზაციაში. მისი მოვალეობაა კომპიუტერული სისტემის დანერგვა და განხორციელება, ელექტრონული კატალოგის ბაზის შექმნა.

ბიბლიოთეკას აქვს ვებ-საიტი, რომლის მისამართია www.zugdidilib.ge. მთავარში წარმოდგენილია ზოგადად ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ, აქვე შესაძლებელია ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული რამდენიმე ღონისძიების ვიდეო კადრების ნახვა. გვერდზე ჩვენ შესახებ მომხმარებელი გაეცნობა ამ ინფორმაციას უფრო ვრცლად, გვაქვს გვერდები, სადაც გაეცნობით ბიბლიოთეკის ისტორიას, სტრუქტურას, ბიბლიოთეკა-ფილიალებს. არის ასევე ბიბლიოთეკის ცხოვრების ამსახველი ფოტო გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია. და ყველაზე მთავარი, მომხმარებელი იხილავს მკითხველის ელექტრონულ კატალოგს, (OPAC), რომლის მეშვეობითაც სახლიდან გაუსვლელად მიიღებს ინფორმაციას მისთვის საჭირო წიგნის არსებობაზე ბიბლიოთეკაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაინერგა ირაკლი ღარიბაშვილის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა — (OpenBiblio ღია ბიბლიოთეკა), რომლითაც იქმნება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკარებს ჩაუტარდათ ორდღიანი ტრენინგები ამ პროგრამის ათვისებასთან დაკავშირებით. მალე დაიწყო კატალოგების შექმნის პროცესი და დღეს იგი აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს მომსახურების განყოფილებების(აბონემენტის, სამკითხველო დარბაზის, საბავშვო განყოფილებისა და ბავშვთა ოთახის) წიგნადი ფონდის კატალოგიზაცია. შეყვანილია 12 000-მდე წიგნი. დასრულდა ბიბლიოთეკის ამერიკული კუთხის წიგნადი ფონდის კატალოგიზაცია. ის, ძირითადად, გადმოწერილ იქნა სხვა ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზიდან, კერძოდ, აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის სერვერიდან, რომელიც მოცემულია კატალოგიზაციის მოდულის ნავიგაციის მენიუში და მარტივი დიალოგური ფორმა საშუალებას გვაძლევს სათაურით, ავტორით ან ISBN-ით ვიპოვოთ კონგრესის ბიბლიოთეკის სერვერზე სასურველი წიგნი და გადმოვიწეროთ, მხოლოდ მცირეოდენი შესწორება დაგვჭირდება (ჩვენი შენახვის შიფრები და კლასიფიკაცია). შესაბამისად, რადგან დამთავრებულია კატალოგიზაცია, მიმდინარეობს ცირკულაცია—მკითხველების აღრიცხვა(მათი საკონტაქტო ცნობები, ბიბლიოთეკის ლიტერატურის გამოყენების „ქრონიკა“, ასევე დოკუმენტების ანუ წიგნების გაცემის, დაბრუნების და დაჯავშნის აღრიცხვა.

ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში კომპიუტერზე დაყენდა ქართული ტექსტების გამახმოვანებელი პროგრამა „ბუ2“ და „ინტერბუ“ ეს პროგრამები ეხმარება უსინათლო მკითხველებს ქართული ტექსტების წაკითხვაში, ინტერნეტით სარგებლობაში. აგრეთვე, შეიძლება, გამოყენებულ იქნას ტექსტის წასაკითხად, ასაკრეფად და ტექსტურ ფაილებთან სამუშაოდ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა შეგიძლიათ იხილოთ Facebook-ზე ასე ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა. გვყავს 422 მეგობარი ძირითადად მკითხველები, დაინტერესებული პირები. გვერდზე

ასახვას ჰპოვებს ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა. მკითხველი წინდაწინ ღებულობს ინფორმაციას ბიბლიოთეკაში მიმდინარე სიახლეების, ჩასატარებელი და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, მათ მიეწოდებათ საინტერესო მასალები და ინფორმაციები წიგნებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან, კეთდება საინტერესო ჩანაწერები, მაგალითად, "როგორ იხსენიებდნენ ბიბლიოთეკებს ძველად სხვადასხვა ქვეყნებში", "ჟურნალი საარქივო მოამბე" და სხვა.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მკითხველს შეუძლია ისარგებლოს უკაბელო ინტერნეტით(WI-FI-ით).

გარდა ცენტრალური ბიბლიოთეკისა, მოდერნიზაცია მიმდინარეობს მის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებში. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით ემსახურებიან მკითხველებს ნარაზენის, ჩხორიის, ინგირის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა მუდმივად სიახლეების ძიების პროცესშია და, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კვლავ გააგრძელებს ახალი ტექნოლოგიებით ახალი სერვისების დანერგვას.

ლიტერატურა

ბროშურა, ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის (საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმი).

ჟურნალი–ИБИС(Информационные Услуги), ინტერნეტრესურსები (www. zugdidilib.ge, www. sciencelib.tsu.ge, www.nplg.gov.ge).

IRMA KVIRKVIA

MODERN TECHNOLOGIES IN THE CENTRAL LIBRARY OF ZUGDIDI

Today, when our society is currently focused on information, library as a repository of knowledge and information has important meaning. It is not only a repository of knowledge, but also it became inducement to expand knowledge in academic environment. The goal appears to create modern services, which will be integrated with modern technology.

It is really true that in number of libraries innovations are introducing. In their ranks we can name Zugdidi Municipality Central Library, which together with Tbilisi, Batumi, and Kutaisi libraries are actively involved in their use of new technology and library modernization process.

In library computers have been imported since 2000 year. At the same time Automation section was opened and it's played a crucial role in the modernization of library. And now we have internet in every section of library, where library staff provides reliable service to readers.

Library has web-page where readers can find information about events which were held, also the information about village branches. Here is also electronic catalog for readers (OPAC) by whom they can get information whether the book they need is in library or not.

The library has Integrated program (Open Biblio) established by Irakli Garibashvili. It is library's electronic catalog in which nearly 12 000 books are inputted. Library's American Corner is already finished cataloging book fund and now American Corner staff use circulation – accounting readers.

In library we have programs "Bu" and "Inter Bu". These programs help blind readers read books and use internet.

In library reading hall we have books written in Brail font and also audio books.

In library's American Corner readers can enjoy free internet.

You can find Zugdidi Municipality central library on Facebook: "zugdidis centraluri biblioteka" (Georgian Letters)

In library reading hall readers can enjoy WiFi internet

Besides Zugdidi Central Library modernization is going on in village branches, Readers can enjoy internet also in Narazeni, Chkhoria, Ingiri.

Central Library is always looking to improve services and will continue to introduce new technologies and new services.